

დამტკიცებულია
დამტკიცებულია სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო
სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს
2020 წლის 18 იანვრის № 3 დადგენილებით

ცვლილებები შესულია
2022 წლის 22 თებერვლის № 20 დადგენილებით

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში პროფესიული მომზადების პროგრამასა და პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

წინამდებარე წესი არეგულირებს სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში -სასწავლო უნივერსიტეტი) პროფესიული მომზადების პროგრამის და პროფესიული გადამზადების პროგრამის (შემდგომში - პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამა) განხორციელების შეფასების პროცესს, რომლის საფუძველზეც უნდა მოხდეს სასწავლო უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული სასწავლო პროცესის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების გამოვლენა. პროცესის გაუმჯობესების მიზნით შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება და მათ საფუძველზე პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის შემდგომი სრულყოფა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესება.

მუხლი 2. პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების შეფასების ინდიკატორები

სასწავლო უნივერსიტეტში პროფესიული მომზადების/ გადამზადების პროგრამების განხორციელების შეფასება ხდება შემდეგი ინდიკატორების გამოყენებით:

- ა) პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამის მსმენელების რაოდენობა (მათ შორის მოქალაქეობის, სქესის, ასაკობრივ ჭრილში);
- ბ) პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამის განმახორციელებელი პირის რაოდენობა;
- გ) პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამის მსმენელებისა და პროგრამის განმახორციელებელი პირის თანაფარდობა;
- დ) მსმენელთა მიერ სწავლის შეწყვეტის მაჩვენებელი;
- ე) მსმენელთა მიღწევების მაჩვენებელი;
- ვ) მსმენელთა გამოკითხვის შედეგები;

- ზ) პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამის განმახორციელებელი პირ(ებ)ის გამოკითხვის შედეგები;
- თ) პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამის მსმენელ(ებ)ის გამოკითხვის შედეგები;
- ი) პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამის პარტნიორი ორგანიზაციის ხელმძღვანელი პირის/ ინსტრუქტორის გამოკითხვის შედეგები;
- კ) პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამის კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები;
- ლ) პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამის კურსდამთავრებულების დასაქმების მაჩვენებელი;

მუხლი 3. პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამის განხორციელების შეფასების პროცედურები

1. პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამის შეფასების ორგანიზებას ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პროფესიული განათლების განვითარების სამსახურთან, კარიერის განვითარების ცენტრთან და საჭიროების შემთხვევაში სასწავლო უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობით;
2. პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამის შეფასება ხორციელდება ტადართული კითხვარების შესაბამისად (დანართი №1 №2 №3 №4)
3. პროგრამის შეფასების პროცესში დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობა შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს ერთ-ერთი ფორმით:
 - ა) შეფასების კითხვარის/კითხვარების (იხ.დანართები) შევსება მატერიალური ან ელექტრონული (Google forms ან სხვა) სახით;
 - ბ) ფოკუს-ჯგუფებში მონაწილეობა;
 - გ) ინტერვიუ.
4. პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამის განხორციელების შეფასების შედეგები ეყრდნობა არაუმეტეს 12 კალენდარული თვის მონაცემებს.
5. მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ხდება მონაცემების დამუშავება, გაანალიზება, შეფასება და მიღებული შედეგების შენარჩუნების, რეკომენდაციების ან გაუმჯობესების გეგმების შემუშავება;

მუხლი 4. პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამის შეფასებისას გამოყენებული წყაროები

1. პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამის შეფასებისას გამოყენებული ინფორმაცია მოპოვებული უნდა იყოს კანონიერი გზით, სანდო და საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია მისი პირველი წყაროს გადამოწმება.
2. შეფასებისას შესაძლოა გამოყენებული იყოს რესპოდენტთა ზეპირი ან ანკეტური გამოკითხვები (ზეპირი გამოკითხვისას შესაძლებელია მიმდინარეობდეს აუდირება), მსმენელთა და პერსონალის ანონიმური გამოკითხვების შედეგები, სასწავლო უნივერსიტეტის მიერ შექმნილი ოფიციალური დოკუმენტები, ელექტრონული ფოსტით მიღებული ინფორმაცია, სოციალურ ქსელში განთავსებული ინფორმაცია (ადრესატის მითითებით), სხვადასხვა პუბლიკაციები, გამოქვეყნებული კვლევის შედეგები, მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით გადაცემული ინფორმაცია და სიუჟეტები, სამუშაო შეხვედრების ოქმები, ოფიციალური მიმოწერა და სხვა სახის წყაროები.

მუხლი 5. ცვლილებები და დამატებები

წინამდებარე წესში შეიძლება შევიდეს ცვლილებები და დამატებები სასწავლო უნივერსიტეტის უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილებ(ებ)ით.

პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამის შეფასებისათვის გამოყენებული ფორმები

დანართი №3.1- კითხვარი პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამის განმახორციელებელი პირ(ებ)ისთვის .

დანართი №3.2- კითხვარი პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამის მსმენელ(ებ)ისთვის.

დანართი № 3.3- პროფესიული მომზადება / გადამზადების პროგრამის შეფასების კითხვარი პარტნიორი ორგანიზაციის ხელმძღვანელისთვის ან/და ინსტრუქტორისთვის.

დანართი № 3.4- პროფესიული მომზადება / გადამზადების პროგრამის შეფასების კითხვარი კურსდამთავრებულთათვის.